

შპს სანი 2020
2024 წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის; 2024 წლის 1 იანვრის და 2023 წლი 01 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული გრძელვადიანი სესხები		2,083,071	433,920	
ძირითადი საშუალებები	(7)	769,450	59,739	20,458
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>2,852,521</u>	<u>493,659</u>	<u>20,458</u>
მიმდინარე აქტივები				
ზედმეტად გადახდილი თანხები	(10)	70,000	3,491	8,000
დებიტორული დავალიანებები		341,932	698,007	354,353
სასაქონლო მატერიალური მარაგები	(5)	233,543	7,233	
ფული და ფულის ეკვივალენტები	(9)	36,203	6,315	15,200
სხვა მოკლევადიანი აქტივები		102,113	109,026	
სულ მიმდინარე აქტივები		783,791	1,145,934	377,553
<u>სულ აქტივები</u>		<u>3,636,312</u>	<u>1,317,731</u>	<u>398,011</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი	(11)			
საწესდებო კაპიტალი		280	280	280
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		1,554,304	(59,805)	47,731
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>1,554,584</u>	<u>(59,525)</u>	<u>48,011</u>
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(8)	2,081,728	1,377,256	350,000
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები				
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,081,728	1,377,256	350,000
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>3,636,312</u>	<u>1,317,731</u>	<u>398,011</u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერა:

მთ. ბუღალტერი

2024 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024წ	2023წ
შემოსავალი	(4)	10,932,141	2,837,182
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5)	(7,729,300)	(1,908,561)
საერთო მოგება		3,202,841	928,621
პერსონალის ხარჯები		(529,779)	(171,378)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(12,643)	(6,659)
არასაოპერაციო შემოსავალი		11,467	280
საოპერაციო ხარჯები	(6)	(1,057,777)	(503,039)
საოპერაციო მოგება/ზარალი		1,614,109	247,825
ფინანსური ხარჯი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			
პერიოდის მოგება		1,614,109	247,825
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება (ზარალი)		1,614,109	247,825

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერა:

მთ. ბუღალტერი

2024 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	პარტნიორთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	280		47,731	48,011
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში			247,825	247,825
სხვა ცვლილება მოგება ზარალში			(355,361)	(355,361)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	280		(59,805)	(59,525)
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში			1,614,109	1,614,109
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	280		1,554,304	1,554,584

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერა:

მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს სანი 2020 რეგისტრირებულია “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, 2019 წლის 18 სექტემბერს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ცხინვალის ქუჩა, N 10, სართული 5, ბინა N14. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 439869297;

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამშენებლო სარემონტო სამუშაოები მშენებლობის დარგში. კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

რატი სანაია	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
რატი სანაია	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი მომსახურებიდან	10,932,141	2,837,182
<u>სულ შემოსავალი</u>	<u>10,932,141</u>	<u>2,837,182</u>

5. პირდაპირი დანახარჯების თვითღირებულება

ლარი	2024 წ.	2023 წ.
პირდაპირი დანახარჯების თვითღირებულება	7,729,300	<u>1,908,561</u>
<u>პირდაპირი დანახარჯების თვითღირებულება</u>	<u>7,729,300</u>	<u>1,908,561</u>

6. საოპერაციო ხარჯები

ლარი	2024 წ.	2023 წ.
საგარანტიო ხარჯები	46,845	34,140
სხვადასხვა საერთო მომსახურება	412,461	227,547
საოპერაციო ზარალი	61,860	150,132
სხვა დანარჩენი წვრილმანი ხარჯები	397,445	91,220
საწვავის ხარჯი	139,166	
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	<u>1,057,777</u>	<u>503,039</u>

7. ძირითადი საშუალებები

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	საწარმო ო ცვეთა	წმინდა საბალანსო ღირებულება
ფინანსური ჯგუფი	2024 წლის 1 იანვარს					2024 წლის 31 დეკემბერს
ძირითადი საშუალებები	59,739	813,319	(90,965)	(12,643)		769,450
<u>სულ</u> <u>ძირითადი</u> <u>საშუალებები</u>	59,739	813,319	(90,965)	(12,643)		769,450

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	118,680	134,204
საგადასახადო ვალდებულებები	155,958	114,381
მოკლევადიანი სესხები	1,198,885	160,000
მიღებული ავანსები	608,205	968,671
<u>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</u>	117,074	425,600

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ლარი	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული საღაროში		
ბანკში არსებული ანგარიშები	36,203	6,315
<u>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</u> <u>ფინანსური მდომარეობის და ფულადი სახსრების</u> <u>მომდრობის ანგარიშგებებში</u>	<u>36,203</u>	<u>6,315</u>

10. გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე.

11. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა, როგორც ნული.

(ბ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

13. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

მოთხოვნების არსებითი ნაწილის გადახდა განხორციელდა სააღრიცხვო თარიღის შემდგომ. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(i) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შემდგომისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია უზრუნველყოფს საკმარის და ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად მომდევნო სამი თვის განმავლობაში. თუმცა არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის კომპანია იყენებს ხანდაზმულობის ანალიზს. არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება უნდა დაიფაროს სააღრიცხვო თარიღის შემდგომ ექვსი თვის განმავლობაში.

(ii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე შემოსავლების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანიას სასაქონლო მარაგები შემოაქვს იმპორტით, შესაბამისად ანაზღაურება მომწოდებელთან ხდება უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე სავალუტო რისკი არსებითია კომპანიისთვის. სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებები უარყოფითად აისახება კომპანიის გადასახდელ ვალდებულებებზე.

14. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი

2024 წელი

ხელფასები

529,779

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საბითუ ვაჭრობა მეორადი საქონლით (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული და ჩანთა), ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით.

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება MIDL მეთოდი.

(დ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა

სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.


16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის; 2024 წლის 1 იანვრის და 2023 წლი 01 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული გრძელვადიანი სესხები		2,083,071	433,920	
ძირითადი საშუალებები	(7)	769,450	59,739	20,458
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>2,852,521</u>	<u>493,659</u>	<u>20,458</u>
მიმდინარე აქტივები				
ზედმეტად გადახდილი თანხები	(10)	70,000	3,491	8,000
დებიტორული დავალიანებები		341,932	698,007	354,353
სასაქონლო მატერიალური მარაგები	(5)	233,543	7,233	
ფული და ფულის ეკვივალენტები	(9)	36,203	6,315	15,200
სხვა მოკლევადიანი აქტივები		102,113	109,026	
სულ მიმდინარე აქტივები		783,791	1,145,934	377,553
<u>სულ აქტივები</u>		<u>3,636,312</u>	<u>1,317,731</u>	<u>398,011</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი	(11)			
საწესდებო კაპიტალი		280	280	280
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		1,554,304	(59,805)	47,731
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>1,554,584</u>	<u>(59,525)</u>	<u>48,011</u>
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(8)	2,081,728	1,377,256	350,000
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები				
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,081,728	1,377,256	350,000
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>3,636,312</u>	<u>1,317,731</u>	<u>398,011</u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერა:



მთ. ბუდალტერი

შპს სანი 2020 ს/კ 439869297

2024 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024წ	2023წ
შემოსავალი	(4)	10,932,141	2,837,182
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5)	(7,729,300)	(1,908,561)
საერთო მოგება		3,202,841	928,621
პერსონალის ხარჯები		(529,779)	(171,378)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(12,643)	(6,659)
არასაოპერაციო შემოსავალი		11,467	280
საოპერაციო ხარჯები	(6)	(1,057,777)	(503,039)
საოპერაციო მოგება/ზარალი		1,614,109	247,825
ფინანსური ხარჯი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			
პერიოდის მოგება		1,614,109	247,825
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება (ზარალი)		1,614,109	247,825

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერა:



მთ. ბუღალტერი


6-12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს სანი 2020 ს/კ 439869297

2024 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	პარტნიორთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	280		47,731	48,011
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში			247,825	247,825
სხვა ცვლილება მოგება ზარალში			(355,361)	(355,361)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	280		(59,805)	(59,525)
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში			1,614,109	1,614,109
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	280		1,554,304	1,554,584

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერა:


მთ. ბუღალტერი

6-12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს